კონფერენცია „საქართველოს ეროვნული საბჭო - ქართული პარლამენტარიზმის დასაწყისი“

2024 წლის 12 დეკემბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე **„საქართველოს ეროვნული საბჭო - ქართული პარლა-მენტარიზმის დასაწყისი“.**

კონფერენციაზე მალხაზ მაცაბერიძემ წაიკითხა მოხსენება **„როგორ განისაზღვრა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს სახელი“.** მოხსენებაში განხილული იყო ის დისკუსია, რაც 1918 წლის 4 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოში, რის შემდეგაც ხმათა უმრავლესობით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკანონმდებლო ორგანოსთვის ეწოდებინათ „საქართველოს პარლა-მენტი“. ეს სახელწოდება საკანონმდებლო ორგანოსთვის დამკვიდ-რდა 1921 წლის კონსტიტუციით და დაფიქსირებულია 1995 წლის კონსტიტუციაშიც.

ირაკლი იაკობაშვილმა მოხსენებაში **„საკანონმდებლო ორგანოს სხდომების სტენოგრაფირების სისტემის ჩამოყალიბება“** საარქივო მასალების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია თუ როგორ იცვლებოდა ეროვნული საბჭოს სხდომების დაფიქსირება მოკლე ოქმებიდან მეტ-ნაკლებად ვრცელ სტენოგრაფიულ ანგარიშებამდე. ეს ცვლილება შესაძლებელი გახდა სტენოგრაფისტთა შტატების შექმნით და მათი მუშაობის ორგანიზებით. როდესაც დამფუძნე-ბელი კრება მუშაობას შეუდგა, მისი სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების შედგენა-გამოქვეყნების სისტემა უკვე სრულად ჩამო-ყალიბებული იყო.

თამარ ორჯონიკიძემ წაიკითხა მოხსენება **„დამფუძნებელი კრების არჩევნების მომზადება ეროვნული საბჭოს / საქართველოს პარლამენტის მიერ“.** მოხსენებაში წარმოდგენილი იყო დამფუძნე-ბელი კრების არჩევნების დებულების შემუშავება, არჩევნების ჩატა-რების ორგანიზება და დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების უზრუნველყოფა,

კონფერენციის დროს მალხაზ მაცაბერიძემ გააკეთა შოთა რუს-თაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო

პროექტის - **„თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი“** (გრანტის კოდი: FR-23-2950) პრეზენტაცია. ნაჩვენები იქნა, თუ რას ითვალისწინებდა პროექტი და რა გაკეთდა პროექტის განხორციელების პირველი წლის განმავლობაში. პროექტის მონაწილეებმა უპასუხეს დამსწრეთა შეკითხვებს.